





უილიამ შექსპირი

# რომეო და ჯულიეტა

დიდგენის  
ბიბლიოთეკა

უილიამ შექსპირი  
რომიო და ჯულიეტა

William Shakespeare  
ROMEO AND JULIET

ინგლისურიდან თარგმნა დავით ახალაძემ

გარეკანზე: ჯონ დუნკანის „რომიო და ჯულიეტა“



მწერალთა  
სახლი

წიგნი გამოიცა მწერალთა სახლის მხარდაჭერით.

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2022  
ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-762-6

[www.diogene.ge](http://www.diogene.ge)

## მოქმედი პირები

ესკალუსი, ვერონის მთავარი;

პარისი, ახალგაზრდა დიდგვაროვანი, მთავრის ნათესავი;

მონტეგი, კაპულეტი – ერთმანეთის მოქიშპე ოჯახების თავკაცები;

მოხუცი, კაპულეტის ნათესავი;

რომეო, მონტეგის ვაჟი;

მერკუციო, მთავრის ნათესავი და რომეოს მეგობარი;

ბენვოლიო, მონტეგის ძმისწული და რომეოს მეგობარი;

ტიბალტი, ქალბატონი კაპულეტის ძმისწული;

ლორენცო, ჯოვანი,<sup>1</sup> ფრანცისკანელი ბერები;

ბალთაზარი, რომეოს მსახური;

---

<sup>1</sup> დედანში ლორენსი და ჯონი (ისევე, როგორც პიტერი (და არა – პიეტრო) და სხვ.). იტალიურ თემაზე დანერილ პიესებში შექსპირი ხშირად ხმარობს სახელების წმინდა ინგლისურ ფორმებს, რომლებიც მთარგმნელებს, ხშირ შემთხვევაში, იტალიურ ყაიდაზე გადმოაქვთ ხოლმე. საგულისხმოა, რომ, დედნის მიხედვით, გვარ „კაპულეტიში“ „ი“ ფუძისეული არაა (Capulet) „მონტეგი“ კი გამოითქმის, როგორც „მონტეგიუ“. ამიტომ გადავწყვიტე, „იტალიური“ ჟღერადობის მისაღებად, ეს გვარები ფუძისეულ „ი“-ზე დამებოლოებინა. სხვათა შორის, ფუძისეულ „ი“-ზე ბოლოვდება ისინი იტალიელი მწერლისა და ისტორიოგრაფის, ლუიჯი და პორტოს მიერ 1525 წელს დანერილ ნაწარმოებში *Historia novellamente ritrovata di due nobili amanti* („ორი კეთილშობილი შეყვარებულის ახლადმოვლენილი ამბავი“), სადაც პირველად გამოჩნდა ლიტერატურაში რომეოსა და ჯულიეტას სახეები (*Montecchi* და *Cappelletti*).

სამსონი, გრეგორიო, კაპულეტის მსახურები;

პიეტრო, ჯულიეტას ძიძის მსახური;

აბრამი, მონტეგის მსახური;

აფთიაქარი;

სამი მუსიკოსი;

პარისის პაჟი, მეორე პაჟი, ბოქაული;

ქალბატონი მონტეგი, მონტეგის მეუღლე;

ქალბატონი კაპულეტი, კაპულეტის მეუღლე;

ჯულიეტა, კაპულეტის ქალიშვილი;

ჯულიეტას ძიძა;

ვერონის მოქალაქეები, ორივე ოჯახის ნათესავები, ნიღბიანები;

მცველები, გუშაგები, მსახურები, გუნდი.

მოქმედება – ვერონა და მანტუა.

მომხედება პირველი





# პროლოგი

## შემოდის გუნდი

### გუნდი

ვერონის ცის ქვეშ, სადაც ჩვენი მოვანყვეთ სცენა, ორმა დიდგვარმა და ამაყმა სახლეულობამ ურთიერთმტრობად მოაქცია წარსული წყენა და გულმოსულმა ძმათა სისხლი ღვარა ულმოვლად. მერე შვილებმა ამ ქედმაღალ, მოქიშპე გვართა, სიყვარულისთვის მოისწრაფეს სიცოცხლე ერთად და უბედური თვითმკვლელების სამარის კართან წარსულს ჩაბარდა ძველი შუღლი მოსისხლე მტერთა. ასე იმძლავრა სიძულვილზე ტრფობამ ტანჯულმა და სამუდამოდ შეარიგა მშობლები დარდმა. აი, ასეთი შინაარსი უდევს სარჩულად ამ ორ საათში წარმოსადგენ სევდიან დადგმას. იმას კი, რაც ვერ აგისხენით მოკლე შესავლით ჩვენი თამაშით მალე მოვფენთ ნათელს დღესავით.

### გადიან

# სცენა პირველი

## ვერონა. მოედანი

*შემოდინან კაპულეტების მსახურები – ხმლებითა და ფარებით  
შეჭურვილი სამსონი და გრეგორიო.*

## სამსონი

გრეგორიო, ვფიცავ, თავზე ლაფს არვის დავასხმევეინებ.

## გრეგორიო

ლაფში რა გვესაქმება, მელორეები ხომ არ ვართ!

## სამსონი

იმას გეუბნები, რომ თუ გავბრაზდი, შეიძლება ვინმე ხმაღზე ავაგო.

## გრეგორიო

ააგო კი არა და, ჭკუით იყავი, თავი არ წააგო.

## სამსონი

ხომ იცი, თუ გავფიცხდი, პირიდან ცეცხლსა ვყრი.

## გრეგორიო

საქმეც ისაა, რომ გასაფიცხებლად კარგა შენთება გჭირდება.

## სამსონი

როგორ გეკადრება! ყველა ძალღიშვილი მონტეგის დანახვა მაფორიაქებს.

## **გრეგორიო**

ფორიაქი – ძრწოლას და გაქცევას ნიშნავს. ვაჟკაცობა კი მტკიცედ დგომაა. თუ აფორიაქდი, გაქცეულხარ და ეგაა.

## **სამსონი**

ძალღიშვილი მონტეგების დანახვაზე ისე დავდები, რომ მისხალსაც არ დავთმობ. ქუჩაში თუ შემხვდებიან, კედლის მხარეს დავიჭერ, რომ თვითონ გზისპირა თხრილში გაიარონ.

## **გრეგორიო**

ჰოდა, მონა ხარ უბადრუკი, რადგან კედელთან მხოლოდ სანყლები იტუზებიან.

## **სამსონი**

ეგ მართალია. იმიტომაც აყუდებენ დედაკაცს კედელზე, რომ მერყევი და უძლური ჭურჭელია.<sup>2</sup> მეც ავდგები და მონტეგთა ქალებს კედელთან მივიმწყვდევ, კაცებს კი ვაიძულებ, შორიდან მომიარონ.

## **გრეგორიო**

კი მაგრამ, შუღლი ხომ კაცებს შორისაა, ქალებს რას ერჩი?

## **სამსონი**

ეგ სულ ერთია. მონტეგებს ნამდვილ მტარვალად მოვევლინები. კაცებს დედებს ავუტირებ, ქალებს კი ვანუგეშებ. ყველას თავის ქალას ავხდი.

---

<sup>2</sup> „ქმარნი ეგრეთვე მსგავსად თანა-მკვდრ ეყვენით შენდობით, ვითარცა უუძლურესსა ჭურჭელსა“ (1 პეტრე, 3:7)

### **გრეგორიო**

თავის ქალას ახდი? დედაკაცებსაც?

### **სამსონი**

ჰო, თავის ქალას... ან ნამუსს. როგორც გინდა, ისე გაიგე.

### **გრეგორიო**

მე რა, მთავარია, ისინი როგორ გაგიგებენ.

### **სამსონი**

ისე გამიგებენ, როგორც ამიდგება. ხომ იცი, რა ავხორცი ვინმე ვარ.

### **გრეგორიო**

ხორცი კი არა და... კიდევ კარგი, თევზი არა ხარ, თორემ მოხარშული ლოქო იქნებოდი. ჰა, ამოილე ეგ საოხრე იარაღი! მონტეგები მოდიან.

### **სამსონი**

უკვე ვიძიშვლე. მიდი, უჩვენე სეირი, უკან მოგყვები.

### **გრეგორიო**

უკანო? ხომ ვიცი, მე სეირს ვუჩვენებ, შენ კი – უკანალს და მოკურცხლავ აქედან.

### **სამსონი**

დარდი ნუ გაქვს, არ გავიქცევი.

### **გრეგორიო**

სწორედ მაგის დარდი მაქვს!

### **სამსონი**

საქმე ისე გავანწყოთ, რომ სამართალი ჩვენს მხარეს იყოს. ჯობია, ჩხუბი მათ დაინყონ.

### **გრეგორიო**

გვერდით რომ ჩავუვლი, ამრეზით შევხედავ. როგორც უნდათ, ისე მიიღონ.

### **სამსონი**

როგორც უნდათ კი არა, როგორც გაბედავენ. მე ფრჩხილს მოვიკენებ და მათ მხარეს გადავაფურთხებ. თუ გადაყლაპავენ, სამუდამოდ შერცხვებიან.

*შემოდინ აბრამი და ბალთა ზარი.*

### **აბრამი**

ჩვენი მისამართით იფურთხებით, ბატონო?

### **სამსონი**

ვიფურთხები, ბატონო.

### **აბრამი**

ჩვენკენ იფურთხებით?

### **სამსონი (გრეგორიოს გადაუჩურჩულებს)**

კი-მეთქი, რომ ვუთხრა, კანონი ჩვენს მხარეს იქნება?

### **გრეგორიო (ჩუმადვე პასუხობს)**

არა.

**სამსონი**

არა, ბატონო, ჩემთვის ვიფურთხები.

**გრეგორიო**

შარს ეძებთ, ბატონო?

**აბრამი**

შარსო?! არა, ბატონო.

**სამსონი**

ჩხუბი თუ გნებავთ, თქვენს სამსახურში მიგულეთ. ჩემი ბატონი თქვენსაზე ნაკლები როდია!

**აბრამი**

მაგრამ არც უკეთესია.

**სამსონი**

კარგი, ბატონო.

*შემოდის ბენვოლიო.*

**გრეგორიო** (სამსონს გადაუჩურჩულებს)

უთხარი, უკეთესია-თქო. აი, ბატონის ნათესავიც მოდის.

**სამსონი**

სწორედაც რომ უკეთესია.

**აბრამი**

ცრუობთ, ბატონო.

## **სამსონი**

რაო?! ხმალი იშიშვლე, თუ ვაჟკაცი ხარ! გრეგორიო, ერთი, შენ რომ იცი, ისე დაჰკარი!

*ერთმანეთს ხმალდახმალ ეკვეთებიან.*

## **ბენვოლიო (ისიც ხმალს იშიშვლებს)**

ჩააგეთ ხმლები, ვერც კი ხვდებით, რასა სჩადიხართ!

*ხმლებს დაბლა დაანევენებს.*

*შემოდის ტიბალტი.*

## **ტიბალტი**

რას იქნევ მახვილს ამ მშიშარა მდაბიოებთან?!

შემოტრიალდი, ბენვოლიო, სიკვდილს შეხედე.

## **ბენვოლიო**

ვცდილობ, მშვიდობა დავამყარო, დასწიე ხმალი,

ან მომეხმარე, გავაშველოთ – აქეთ მოდექი.

## **ტიბალტი**

მაგრამ მშვიდობას ვინ ამყარებს მახვილის ძალით!

მე მძულს ეგ სიტყვა, როგორც შენ და ყველა მონტეგი.

დამიდექ, მხდალო!

*ისინიც ერთმანეთს ეკვეთებიან.*

*შემოდინან ორივე გვარის წარმომადგენლები და ჩხუბში ერთვები-*

*ან. შემდეგ შემოდინან კომბლებით შეიარაღებული მოქალაქეები.*

## **ერთ-ერთი მოქალაქე**

გამოიტანეთ ხელკეტები, შუბნაჯახები!  
აქეთ მონტეგებს დაერიეთ, იქ – კაპულეტებს!

*შემოდინ გრძელ მოსასხამში გახვეული მოხუცი კაპულეტი  
და ქალბატონი კაპულეტი.*

## **კაპულეტი**

რა ხმაურია?! მომიტანეთ გრძელი მახვილი!

## **ქალბატონი კაპულეტი**

ხმალი კი არა, ყავარჯენი! ხმალი რად გინდა?

## **კაპულეტი**

მახვილი-მეთქი! აგერ თავად მონტეგიც მოდის  
და ხმლის ტრიალით მახელებს და ბრძოლაში მიწვევს!

*შემოდინ მონტეგი და ქალბატონი მონტეგი.*

## **მონტეგი**

ო, მუხანათო კაპულეტი! (ცოლს) გამიშვი, მოვკლავ!

## **ქალბატონი მონტეგი**

ფეხს ვერ მოიცვლი! არ მიგიშვებ შენს მტრებთან ახლოს.

*შემოდის მთავარი ამალითურთ.*

## **მთავარი**

ჰოი, მშვიდობის მოძულენო, შფოთის მთესველნო,  
ძმათა სისხლში რომ გაგისვრიათ ისევ ხელები.



ნუთუ არ ესმით?.. სმენა იყოს! ბრიყვო მხეცებო, ვინც საკუთარი ძარღვებიდან ნაფრქვევი სისხლით ცდილობთ ჩააქროთ მრისხანების ცეცხლი მძვინვარე, ყველას საშინელ წამებაში ამოგხდით სულებს, თუ არ დაცხრებით, არ ჩააგებთ ხმლებს ქარქაშებში და არ შეისმენთ შეგონებას თქვენი ბატონის. უკვე მესამედ, შენ მონტეგი, შენც კაპულეტი, ფუჭი სიტყვით და ავციობით არღვევთ სიმშვიდეს ჩვენი ქალაქის მიყურებულ, მყუდრო ქუჩებში და აიძულებთ დარბაისელ მოქალაქეებს, შემოიძარცვონ მოხდენილი სამოს-ზინათნი, და მოიმარჯვონ ჟანგიანი შუბნაჯახები თქვენი უზომო სიძულვილის დასაოკებლად. თუკი გაბედავთ და ერთხელაც ხელყოფთ მშვიდობას, სიცოცხლის ფასად გაზღვევინებთ ურჩობას ყველას. ახლა კი ნადით, შინ დაბრუნდით, ნულარ აყონებთ. შენ, კაპულეტი, გაემზადე, ჩემთან წამოხვალ, შენ კი, მონტეგი, ნაშუადღევს უნდა მეახლო: ვილაფრანკაში მობრძანდები ჩვენს სამსჯავროზე და იქ შეიტყობ, ამას იქით რაც განგიჩინეთ. მაშ, დაიშალეთ, თავი თუ არ მოგძულეხით!

*გადის ყველა მონტეგის,  
ქალბატონი მონტეგისა და ბენეოლიოს გარდა.*

## **მონტეგი**

ვინ გააღვივა ჩვენი ძველი მტრობის ლადარი?  
ჩემო ძმისშვილო, აქ იყავი, როცა ეს მოხდა?

## **ბენვოლიო**

მე რომ მოვედი, უკვე კარგა ნაჰკიდებოდნენ თქვენი ბიჭები თქვენი მტრების მოჯამაგირეთ. ის იყო, დავნვდი, ჩემს იარაღს მათ დასაფრენად, რომ თავს ტიბალტი ნამომადგა ხმალამონვდილი და უდიერი ღრეჭით ხმალში გამომიწვია – მახვილის ქნევით სულ ამაოდ აპობდა სიოს, სიო კი თითქოს დასცინოდა სისინ-სისინით. მერე ჩვენს ჯახზე მოჩხუბრებიც უხვად მოგროვდნენ და გუნდი გუნდზე დავეტაკეთ ერთურთს ამჯერად, ვიდრემდის მთავრის შეძახილმა არ შეგვაჩერა.

## **ქალბატონი მონტეგი**

რომეო ხომ არ დაგინახავს? საით ნავიდა? დიდება უფალს, რომ დაიხსნა დღეს ამ შარიდან.

## **ბენვოლიო**

საათით ადრე რიურაჟამდე, სანამ მზის სხივი აღმოსავლეთის ოქროს სარკმელს შემოალებდა, ძილგატეხილი გამოვედი სახეტილოდ – მინდოდა, სევდა გამეფანტა ლეღვის ჭალაში, დასავლეთით რომ ესაზღვრება ქალაქის კიდეს. სწორედ იქ იყო თქვენი ვაჟი. რომ დავინახე მაშინვე მისკენ გავეშურე, მან კი უეცრად ზურგი მაქცია და ბინდბუნდში გაუჩინარდა. ნაცნობი არის მსგავსი განცდა ჩემთვის ძალიან: განმარტოებულს სხვებისათვის რომ არ გცალია. და ამიტომაც გავეცალე, აღარ მივეყვი, თავი ვანებე მას, ვინც ჩემგან გაცლას ლამობდა.

## **მონტეგი**

ბევრჯერ უნახავთ უთენია ის იმ ლელვნარში.  
თურმე დადის და ცრემლების ღვრით ბალახში ცვარ-ნამს  
ოხვრით კი ცაში მიმოფანტულ ღრუბლებს ამრავლებს.  
მაგრამ სანამდის მზე სამყაროს მაცოცხლებელი  
ქვეყნიერების აღმოსავლეთ დასალიერში  
ცისკრის ქალღმერთის სარეცელზე ფარდებს ასწევდეს,  
მანამ გამორბის ჩემი შვილი დაღონებული,  
მოვა თუ არა, იკეტება თავის ოთახში,  
გულდასმით რაზავს ფანჯრებსა და ყველა დარაბას,  
რომ ხელთქმნილ ბინდად გარდასახოს დილის სინათლე.  
ვშიშობ, სიკეთე არ მოჰყვება ასეთ საქციელს,  
მიზეზის წამლად თუ რამ რჩევა არ შევანით.

## **ბენვოლიო**

იცით კი რაა, ბიძაჩემო, ამის მიზეზი?

## **მონტეგი**

არა, არ ვიცი, და თვითონაც არ გვეუბნება.

## **ბენვოლიო**

ისე, ოდესმე თუ გიცდიათ, გამოგეტყუებათ?

## **მონტეგი**

კი, როგორ არა, მეც მიცდია და მეგობრებსაც,  
მაგრამ ის რჩევას მხოლოდ გრძნობებს დაეკითხება  
(არადა, გრძნობა ამ საქმეში რა მრჩეველია!)  
და მუდამ ასე, პირქუში და გულჩახვეული  
სულის სიღრმეში დაატარებს თავის სატკივარს,  
როგორც კოკორი – შიგნიდან რომ ჭია ჭამს მანამ,

სანამ ტკბილ სურნელს გაატანდეს ქარსა თუ ნიავს,  
ანდა ფურცლობას დაიწყებდეს კაშკაშა მზის ქვეშ.  
ნეტავ გავიგოთ, რად ნაუხდა ასე გუნება –  
რამე მალამო შეეუზრჩიოთ განსაკურნებლად.

*შემოდის რომეო.*

### **ბენვოლიო**

აი, რომეოც. ახლა ნადით, აქ ნუ დადგებით,  
იქნებ მე მაინც გამიმხილოს გულისნადები.

### **მონტეგი**

ეგებ მოაბა თავი ამ ჩვენს საქმეს საძნელოს...  
(ცოლს) ნავიდეთ, ჩემო ქალბატონო, გზა გავაგრძელოთ.

*გადიან მონტეგი და ქალბატონი მონტეგი.*

### **ბენვოლიო**

დილა მშვიდობის, ბიძაშვილო.

### **რომეო**

დილაა კიდევ?

### **ბენვოლიო**

ცხრაა.

### **რომეო**

დროს ვერ გრძნობ, როცა გულში ნალველი გიდევს.  
ის მამა იყო, წელან სწრაფად რომ გაგერიდა?